პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 5 იანვარი, 1946 წ. № 4 (7477). ფასი 20 კაპ.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები.

საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ასახელებენ კაცობრიობის უდიდეს გენიოსს, ხალხთა ბრძენ ბელადს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს.

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

მთელი ხალხის კანდიდატები

მთელს დღეა მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამხედრო ნაწილების მუშაკთა წინასაარჩევნო კრებები, მიძღვნილი დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი, ერთსულოვნებისა და აღფრთოვანების ვითარებაში მიმდინარეობენ.

გამოუკლებლივ ყველა წინასაარჩევნო კრებაზე გაისმის ბოლშევიკების გმირული პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მგზნებარე სიტყვები.

გამოუკლებლივ ყველა წინასაარჩევნო კრებაზე ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს მათ, ვინც მშრომელთა საქმის, სოციალისტური სამშობლოს ბოლომდე ერთგულია, ვინც დიდი სამამულო ომის წლებში ფრონტისა და ზურგის მეომართა პირველ რიგებში იყო, ვინც განუწყვეტლივ ზრუნავს ჩვენი ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ხალხი თავის პირველ კანდიდატად ასახელებს დიდი ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, შეუდარებელ მხედართმთავარს, ჩვენი სამშობლოს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე სტახანოველმა მიხეილ გეწაძემ სთქვა:

— ამხანაგებო!

— ვინ გადაგვარჩინა ჰიტლერელთა მონობის უღელს?—დიდი სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ.

— ვინ აღგვზარდა, ვინ ჩაგვინერგა მუშებს თავისუფლების სიყვარული, ვინ გვრაზმავდა შავბნელი ცარიზმის დროს ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად? — დიდი სტალინი.

— ვინ არის ის, რომლის სუნთქვაც ხალხის სუნთქვაა, რომელიც ჩვენი აღმზრდელი, ჩვენი მამა, ჩვენი მასწავლებელია? — დიდი სტალინი.

ჩვენი ქარხნის სტახანოველებმა დამავალეს გამოვსულიყავ ამ ტრიბუნაზე და თქვენთვის მეთქვა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ჩვენ, სტახანოველების ჯგუფი, ვასახელებთ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

გაუმარჯოს ჩვენს კანდიდატს ამხანაგ **სტალინს!**

გამოჩენილი სტახანოველის ამ სიტყვებს მრავალათასიანი კრება მქუხარე ტაშით და ვაშას ძახილით შეხვდა.

მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ფიქრები და გრძნობებია გამოხატული ამ უბრალო, გულში ჩამწვდომ სიტყვებში, ამ აღფრთოვანებასა და სიხარულში:

— სტალინი ჩვენი აღმზრდელი, ჩვენი მამა, ჩვენი მასწავლებელია!

— სტალინი ჩვენი გამარჯვების დროშაა!

კარგად სთქვა პოეტმა:

ომის ძნელ დღეთა გასაჭირშიაც,
უმძიმეს ჟამსაც, მშვიდობის დროსაც,
უკვდავმა ხალხმა შენ აგირჩია,
როგორც ბელადი და როგორც დროშა.

ხალხი თავის კანდიდატებად აღფრთოვანებით ასახელებს დიდი **სტალინის** თანამებრძოლებს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილებს **მოლოტოვს, კალინინს, ბერიას, ვოროშილოვს, მიქოიანს, ჟდანოვს, კაგანოვიჩს, ხრუშჩოვს, ანდრეევს, მალენკოვს, შვერნიკს, ვოზნესენსკის.** გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მოღვაწეების კანდიდატურათა ერთსულოვან მოწონებაში მთელი სიცხადით სჩანს ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი ერთგულება და სიყვარული ბოლშევიკების პარტიისადმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი სტალინისადმი.

ხალხი თავის კანდიდატებად ასახელებს სოციალიზმის საქმის ბოლომდე ერთგულ, შემოწმებულ ადამიანებს—ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, გამოჩენილ სტახანოველებს, სახელოვან კოლმეურნეებს, მეცნიერებს, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებს. დასახელებულია საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის კანდიდატურა. დასახელებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე, გიორგი თევდორეს-ძე სტურუა, მიხეილ ივანეს-ძე ბარამია, ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი, პეტრე ათანასეს-ძე შარია. დასახელებულია სოციალისტური შრომის გმირი მემანქანე შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე, მაღაროელი კალენიკე გრიგოლის-ძე ლავთაძე, მეშახტე შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე, კოლმეურნეები ნინო ალექსანდრეს-ასული ტარიელაშვილი და სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი, პროფესორი, სტალინური პრემიის ლაურეატი რაფიელ ილიას-ძე აგლაძე, მასწავლებელი თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი, მწერალი შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი.

საბჭოთა ხალხი ერთნაირად პატივს სცემს ყველა დარგის, ყველა პროფესიის გამოჩენილ მუშაკს. თავის უმაღლეს ორგანოში ასარჩევად ხალხი ასახელებს მეშახტესაც და კოლმეურნესაც, ხელოვანსაც და მეცნიერსაც, პარტიულსაც და უპარტიოსაც. მხოლოდ ერთი საზომი არსებობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებისათვის—რამდენად ასახელა სამშობლო, რამდენად გამოიჩინა თავი ხალხისადმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი სამსახურით, რამდენად დაიმსახურა მშრომელთა ნდობა და სიყვარული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

უძლეველია ქვეყანა, სადაც ასე მტკიცეა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი და თანამშრომლობა.

უძლეველია ქვეყანა, სადაც ასე მტკიცეა კომუნისტთა და უპარტიოთა კავშირი და თანამშრომლობა.

უძლეველია ქვეყანა, რომელსაც წარმართავს ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ადამიანი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ამხანაგი **სტალინი.**

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები ყველგან პოულობენ მუშათა, კოლმეურნეთა, საბჭოთა ინტელიგენციის მხურვალე მხარდაჭერას.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ერთსულოვანი სურვილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოაყენოს საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი. ასობით წინასაარჩევნო კრება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სვერდლოვსკში, უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და სხვა რესპუბლიკებში მიმართავს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს** თხოვნით დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

მშრომელნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს, მ. ი. კალინინს, ლ. პ. ბერიას, გ. მ. მალენკოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ა. ა. ჟდანოვს, ა. ი. მიქოიანს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ვოზნესენსკის, ნ. მ. შვერნიკს.**

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა შორის არიან სახელგანთქმული სტალინელი სარდლები საბჭოთა კავშირის მარშლები **გ. კ. ჟუკოვი, კ. კ. როკოსოვსკი, ი. ს. კონევი, ლ. ა. გოვოროვი, რ. ი. მალინოვსკი, კ. ა. მერეცკოვი,** ფლოტის ადმირალი **ნ. გ. კუზნეცოვი,** არმიის გენერალი **ი. ქ. ბაგრამიანი** და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ შრომის, მეცნიერების, ხელოვნების მოწინავე ადამიანებს, გამოჩენილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებს. ხალხის მიერ დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან ცნობილი კონსტრუქტორები **ს. ვ. ილიუშინი** და **ა. ს. იაკოვლევი,** მეფოლადეები **ა. პ. ჟურავლევი** და **ა. გ. ზვეზდინი,** მასწავლებლები **ა. პ. ჩეკალინა** და **ა. გ. ტრიფონოვა,** ექიმი **რ. ა. კუტლუბაევა,** სახალხო კომისრები **ვ. ვ. ვახრუშევი** და **ნ. ს. კაზაკოვი,** მწერლები **ნ. ს. ტიხონოვი, მ. ა. შოლოხოვი** და **მ. ფ. რილსკი,** მემანქანე **ელენე ჩუხნიუკი,** უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ა. ა. ბოგომოლეცი** და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ო. ნ. პოდვისოცკაია,** კოლმეურნე **ჟუმაგულ აბდურაიმოვა,** კოლმეურნეობის თავმჯდომარე **კაშაკპაი პრიმოვი** და ბევრი სხვა.

წინასაარჩევნო კრებები ნამდვილ საყოველთაო სახალხო ხასიათს ატარებენ. სამი ათასზე მეტი კაცი დაესწრო ლენინგრადში კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა კრებას. თხუთმეტი ათასმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა წინასაარჩევნო კრებაზე იმ ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. ნესტეროვი. რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა დასახელებული კანდიდატების განხილვაში მოლოტოვის სახელობის გორკის ავტოქარხანაში.

ქალაქ ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქი

კიროვის ქარხნის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი და კუზმა ემელიანეს-ძე ტიტოვი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად— მიხეილ ივანეს-ძე კალინინი

ლენინგრადი, 2 იანვარი. („პრავდის" კორესპონდენტისაგან). დიდი პატრიოტული აღფრთოვანება სუფევს დღეს კიროვის ქარხანაში. 8 ათასმა კიროველმა აავსო უზარმაზარი საამქრო. იხსნება საერთო საქარხნო წინასაარჩევნო კრება. საწარმოს ძველი მუშა ამხ. სოლოვიოვი წინადადებას იძლევა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დიდი სტალინი. კრება მქუხარე ოვაციით უპასუხებს.

მეორე უძველეს მუშაკს ამხ. მიროშნიკოვს შეაქვს წინადადება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას მ. ი. კალინინი. საამწყობო საამქროს უბნის უფროსი ამხ. ვოლკოვი კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აყენებს ცხელი ტვიფრების საამქროს უფროსს ამხ. კ. ე. ტიტოვს. წინადადებებს ერთსულოვნად უჭერს მხარს ყველა ორატორი.

ერთსულოვნად იღებენ დადგენილებას, რომლითაც კიროველთა კოლექტივი კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს ამხანაგ ი. ბ. სტალინს და ამხ. კ. ე. ტიტოვს, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — ამხ. მ. ი. კალინინს.

მარტენის საამქროს უფროსის მოადგილის ამხ. ა. ა. სოლოვიოვის სიტყვა

— ქარხნის მეტალურგიული საამქროების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სახელით წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ჩვენი კომუნისტური პარტიის გენიალური ბელადი და თეორეტიკოსი ამხანაგი სტალინი. **(ტაში).** კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩვენი ქვეყანა ღარიბი და ჩამორჩენილი რუსეთიდან სტალინური ხუთწლედების განმავლობაში გადაიქცა მძლავრ სამრეწველო სახელმწიფოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელებისა და ჩაგრული ხალხების ბურჯად და იმედად.

დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ კაცობრიობის ისტორიაში უბადლო მხედართმთავარს, ვისი წინამძღოლობითაც ჩვენმა წითელმა არმიამ გაანადგურა და მოსპო გერმანელ ფაშისტთა ავაზაკური არმია და მით იხსნა ჩვენი სამშობლო და მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა მონობისა, სირცხვილისა და მოსპობისაგან. წინადადება შემომაქვს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ხალხისათვის ყველაზე მახლობელი და ადამიანთა შორის ყველაზე უფრო ადამიანური — ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

გაუმარჯოს და მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლობდეს ამხანაგი სტალინი! **(მქუხარე ტაში).**

საამწყობო საამქროს უბნის უფროსის ამხ. ა. ს. ვოლკოვის სიტყვა

— № 3 საამწყობო საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების და ტანკმშენებელთა — კიროველთა დავალებით წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სიაში შეტანილ იქნას ქარხნის უძველესი საწარმოო მუშაკი, ცხელი ტვიფრების საამქროს უფროსი ამხ. კუზმა ემელიანეს-ძე ტიტოვი.

კუზმა ემელიანეს-ძეს კარგად იცნობს მთელი ჩვენი კოლექტივი. მან 14 წლისამ დაიწყო თავისი შრომითი გზა 1914 წელს ყოფილი პუტილოვის ქარხნის საორთქლმავლო-მექანიკურ სახელოსნოში. მე პირადად ვიცნობ ამხ. ტიტოვს 1926 წლიდან. მუშაობის უაღრესად პასუხსაგებ უბნებში აყენებენ ამხ. ტიტოვს. იგი იყო შრომის ახალი მეთოდების უაღრესად აქტიური ორგანიზატორი საყოველთაო სახალხო სტახანოვური მოძრაობის დაწყების პერიოდში. კონსტრუქტორთა კოლექტივთან ერთად იგი სწყვეტდა ქარხნის მიერ ახალი საბრძოლო მანქანების — განთქმული ტანკების „კვ" და „ტ-34" და იმ უაღრესად სრულყოფილი ტანკების ათვისების ამოცანას, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ფაშისტური გერმანიის განადგურებაში და რომელთაც ეწოდებათ „იოსებ სტალინი". თავისი თავდადებული შრომისათვის, პარტიისა და მთავრობის და წითელი არმიის საბრძოლო ფრონტების დავალებათა შესრულებისათვის კუზმა ემელიანეს-ძე ტიტოვი შვიდგზის არის დაჯილდოებული მთავრობის ჯილდოებით.

ამხანაგებო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამხ. ტიტოვი კავშირის საბჭოს ღირსეული დეპუტატი იქნება კიროვის საარჩევნო ოლქისაგან. **(ტაში).**

სარკინიგზო საამქროს უფროსის ამხ. ა. კ. მიროშნიკოვის სიტყვა

— ჩვენ, ქარხნის უძველესი საწარმოო მუშები, კომუნისტები და უპარტიოები, შევიკრიბეთ და მოვითათბირეთ, თუ ვინ სჯობს დავასახელოთ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად, და ერთსულოვნად მივედით დასკვნამდე, რომ ჩვენი არჩეული უნდა იქნას ბოლშევიკური პარტიის უძველესი წევრი, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ყველას საყვარელი ჩვენი ძვირფასი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი კარგად იცნობს ჩვენს ქარხანას და უყვარს იგი. აქ, პუტილოვის ქარხანაში დაიწყო მან თავისი რევოლუციური მოღვაწეობა. ჩვენ, ძველი პუტილოველები — კიროველები არაერთგზის შევხვედრივართ მიხეილ ივანეს-ძეს. იგი იყო ხოლმე ქარხნის საამქროებში ტრაქტორმშენებლობის ათვისების პერიოდში. გულისხმიერი, მომხიბლველი, ყოველი მუშისათვის მახლობელი —ასეთი იყო და არის მიხეილ ივანეს-ძე. 1945 წლის იანვარში მე კიდევ ერთხელ წილად მხვდა ბედნიერება შევხვედროდი მიხეილ ივანეს-ძეს, როდესაც მან ჩვენს ქალაქს გადასცა ლენინის ორდენი გმირობისა და სიმტკიცისათვის, რაც ლენინგრადელებმა ომისა და ბლოკადის პერიოდში გამოიჩინეს.

მე მოვუწოდებ ყველა კიროველს მხარი დაუჭირონ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის კანდიდატურას. **(ტაში).**

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა შემოტანილი წინადადებანი.

უკანასკნელი ცნობები

ა. ი. ვიშინსკის, ა. ჰარიმანისა და ა. კ. კერის თათბირები რუმინეთის მეფესთან და რუმინეთის მთავრობის დელეგაციასთან

ბუქარესტი, 2 იანვარი. (საკდესი). ა. ი. ვიშინსკიმ, ა. ჰარიმანმა და ა. კ. კერმა დაიწყეს ერთობლივი მოლაპარაკება მეფესთან და მთავრობასთან. მეფესთან გუშინდელი საუბრის შემდეგ დღეს დილით შესდგა ვიშინსკის, ჰარიმანისა და კერის შეხვედრა რუმინეთის მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი გროზა. დელეგაციაში შევიდნენ მთავრობაში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები.

რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა მიიღო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი

ბუქარესტი, 3 იანვარი. (საკდესი). ამ დღეებში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორმა პეტრუ გროზამ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში მიიღო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც თავისი სასპორტო გამოსვლები დაამთავრა.

პრემიერმა დიდი ინტერესი გამოიჩინა საბჭოთა სპორტისადმი. საბჭოთა სპორტსმენებმა მადლობა გადაუხადეს პრემიერს გულთბილი მიღებისათვის, რაც მათ რუმინეთის სასპორტო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და რუმინეთის საზოგადოებამ აღმოუჩინეს.

საქართველოს ფეხბურთელების დაბრუნება

4 იანვარს რუმინეთიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს სასპორტო დელეგაცია, რომელმაც წარმატებით ჩაატარა სამი მატჩი რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდებთან. „დინამოს" ოსტატთა გუნდს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დელეგაციის წევრთა მეგობრები და ოჯახები.

დაბრუნებულ სპორტსმენებს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა გაუმართეს.

თბილისის საარტილერიო სასწავლებელმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

საარჩევნო პლაკატებითა და ლოზუნგებით მოურთავთ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის დიდი დარბაზი. აქ არიან კურსანტები, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობა, ნებით დაქირავებულთა და ოფიცერთა ოჯახების წევრები.

სასწავლებლის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში პოდპოლკოვნიკი შატოხინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილ კრებას გახსნილად აცხადებს.

პოდპოლკოვნიკ გოვიადინკინს წინადადება შეაქვს საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

დარბაზში ჰქუხს არტილერისტთა „ვაშა", გრიალებს ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. აბიზოვი. მას წინადადება შეაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ხალხთა ბრძენი ბელადი, მამა და მასწავლებელი გენერალისიმუსი სტალინი!

კვლავ გრიალებს ტაში, მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დიდხანს გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

— საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შემოქმედს—დიდ სტალინს—ვაშა!

— სტალინის სახელი ჩვენი გამარჯვების სიმბოლოა,—ამბობს კურსანტი ჰერელიძე.—მე დარწმუნებული ვარ, გამოვხატავ ყველა თქვენგანის აზრს, თუ ვიტყვი, რომ ამხანაგი სტალინი მთელი საბჭოთა ხალხის პირველი და უსაყვარლესი კანდიდატია.

ამხანაგებმა მაზურმა და კალინინმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. აბიზოვის წინადადებას ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელების შესახებ.

კრების მონაწილეებმა ამხანაგ სტალინს გაუგზავნეს მიმართვა და სთხოვეს მას თანხმობა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს მათს საარჩევნო ოლქში.

რკინიგზის გურჯაანის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

გურჯაანის რკინიგზელთა კლუბი ხალხით გაჭედილა. რაიონის მუშა-მოსამსახურეები, რკინიგზის ტრანსპორტელები მოსულან აქ ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, რათა წამოაყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

კრებას ხსნის რკინიგზის კვანძის პარტბიუროს მდივანი ვ. პავლიაშვილი. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვას ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ი. ფეიქრიშვილი.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა რკინიგზის სასწავლებლის დირექტორს ბ. ბერიკაშვილს.

— ამხანაგებო!—ამბობს იგი—დღეს ჩვენ განსაკუთრებულ სიხარულს განვიცდით. აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ორგანოში წამოვაყენოთ რჩეულთა შორის რჩეული.

ამხ. ბერიკაშვილი ლაპარაკობს ხალხთა ბელადის დიდი სტალინის განსაკუთრებულ დამსახურებაზე ჩვენი სამშობლოს წინაშე.

— დიდი სტალინი—ამბობს იგი— ჩვენი დროშაა. მან იხსნა მილიონობით ადამიანი ჰიტლერული ბარბაროსობისაგან. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ხალხით გაჭედილ დარბაზში გაისმა ტაშის გრიალი და „ვაშას" შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან რაიონის მოწინავე ადამიანები. დეპოს სარემონტო საამქროს ბრიგადირმა ივანე მარკოზაშვილმა, დურგალმა ვლადიმერ გოგიტიძემ, ნიკოლოზ მათიაშვილმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. ბერიკაშვილის წინადადებას.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება წამოაყენოს ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და სთხოვეს მას კენჭი იყაროს მათს ოლქში.

სოფელ გლდანის მშრომელებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

თბილისის რაიონის სოფელ გლდანის მშრომელების წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც სასოფლო კლუბში გაიმართა, ოთხასამდე კაცი შეიკრიბა. საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებმა თავი მოიყარეს, რათა განიხილონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების საკითხი.

კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანმა ვ. კობახიძემ. მან ილაპარაკა მომავალი არჩევნების მნიშვნელობაზე და კოლმეურნეთა ფართო მასების უდიდეს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე.

სიტყვას იღებს მშრომელთა დეპუტატების გლდანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ჩხეიძე.

— სანამ კანდიდატურას დავასახელებდე, — ამბობს იგი, — მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ჩვენი სოფლის წარსულსა და აწმყოზე. ბნელ და ნესტიან გომურებში ნახევრადმშიერი სიცოცხლე, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე აუტანლად მძიმე შრომა, უკულტურობა და უმწეო ცხოვრება — აი რა იყო გლდანელთა ხვედრი წარსულში. ახლა გლდანში სჩქეფს სულ სხვა ცხოვრება, სისხლჭარბი და საამური. კოლმეურნეობამ ბედნიერება მოუტანა გლეხს, შეძლებული გახდა იგი. თუ წინათ წერა-კითხვის მცოდნეს სანთლით ვერ იპოვნიდი, ახლა ჩვენს სოფელს საკუთარი ინტელიგენცია ჰყავს. გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი.

ვინ მოგვცა ყოველივე ეს? საბჭოთა ხელისუფლებამ, ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ქვეყანა წინ ახალი გამარჯვებებისაკენ. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ დიდ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს გენერალისიმუს სტალინს.

დარბაზში იქუხა ტაშმა. კოლმეურნენი მიესალმებოდნენ საყვარელ ბელადს დიდ სტალინს, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ მიჰყავს სოციალიზმის ქვეყანა.

წინასაარჩევნო კრება გადაიქცა მშრომელი გლეხობის პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი, სტალინისადმი კოლმეურნეთა სიყვარულის ბრწყინვალე დემონსტრაციად. სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა კოლმეურნემ ეკატერინე გიორგობიანმა და მასწავლებელმა სევერიანე ნიკოლაიშვილმა მხარი დაუჭირეს ამხ. ჩხეიძის წინადადებას.

კრების მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: სოფელ გლდანის მშრომელთა წინასაარჩევნო კრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად ასახელებს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. კრება სთხოვს ამხანაგ სტალინს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის № 557 სასოფლო საარჩევნო ოლქში.

რაიონულ და საოლქო წინასაარჩევნო კრებებზე წარმომადგენლებად არჩეულ იქნა საკოლმეურნეო სოფლის 20 მოწინავე ადამიანი.

ამხ. გ. კ. ჟუკოვი დასახელებულია კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

რუბეჟნაიას ქიმკომბინატის (ლისიჩანსკის საარჩევნო ოლქი), ქალაქ ლვოვის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის მუშათა და ინჟინერთა და მოსკოვის ოლქის (მოჟაისკის საარჩევნო ოლქი) ვერეის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოსტროვის" საერთო კრებებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საბჭოთა კავშირის მარშალი გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვი.

ყველანი, ვინც საბჭოთა კავშირის მარშლის, თავდაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირის გ. კ. ჟუკოვის კანდიდატურა წამოაყენა, აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ დამსახურებას სამშობლოს წინაშე ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება



თბილისის კარგოგრაფიული ფაბრიკის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელდა

კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად—

გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი

თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის საწარმოდ მორთული დარბაზი ხალხით გაიჭედა. აქ არიან ფაბრიკის მეშვები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები.

სიტყვა ეძლევა ფაბრიკის პარტიიურომ მდივანს ნინო სუფდალიევას.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან მის სიტყვებს. ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორზე ამბანაგ ოსიპ ბესარიონის-ძე სტალინზე, მის უახლოეს თანამებრძოლებზე.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა ანტონინა ბარანნიკოვას.

— წინადადება შემომაქვს, — გააგრძელა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დიდი სტალინის თანამებრძოლი, საკავშირო კომშინტერნი პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის მარშალი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

ამხანაგ ვოროშილოვს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს როგორც წითელი არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართმთავარს და თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს.

დარბაზი ამ წინადადებას მქუხარე ტაშით შეეგება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კ. ე. ვოროშილოვის დასახელებას მხურვალედ დაეჭიროს მხარი ტექნიკოსმა-კარტოგრაფმა ეკატერინე კულეშოვამ, ლაბორანტმა ანა ტრუხანოვამ და სხვ.

— გაუმარჯოს დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ვოროშილოვს! — გაისმოდა დარბაზში შეძახილები.

ასოთამწყობმა სტახანოველმა რ. კო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ბყიბულის სპეციალური სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად —

შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). 3 იანვარს ჩატარდა სტალინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება, რომელსაც 600-ზე მეტი კაცი დაესწრო.

კრება გახსნა შახტის პარტბიუროს მდივანმა, რ. სადფინიშვილმა. საქმიანი და სასტატო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანმა ე. ჯავახიშვილმა. მან ილაპარაკა საბჭოთა სამშობლოს ძლევამოსილებაზე, დიად სტალინურ კონსტიტუციაზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებზე.

სიტყვა ეძლევა ორასოფელ მებიგეს ტ. ბაგელს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ის ასახელებს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამ წინადადებას კრების მონაწილეები მეტეხარე ტაშით ხვდებიან.

შემოსულ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სამამულო ომის მონაწილემ ა. ლომბანიძემ, სეიმიოლოსელმა ს. ლაფფარიძემ, მებიგე ი. არსენიძემ და ცალს უფროსმა პ. ქარქაშაძემ.

კრების მონაწილეებმა წერილით მიმართეს ამხანაგ ლ. პ. ბერიას დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 562 საარჩევნო ოლქში.

ტრიბუნაზე ადის მერვე საეკლესიოსტაციო უბნის უფროსი პ. ნინიკაშვილი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ქვანაბშირის პირველი უბნის ორასოფად მნურველს შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძეს.

შ. ე. ფურცხვანიძე 25 წელია დაუფლავად მუშაობს ტყიბულის შახტებში. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და ორი მედლით.

ფეშეფილელი ენერგიით განაგრძობს მუშაობას მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მოპოვებისათვის. ამიტომ დასახელეს ტყიბულელმა მუშახტებმა დეპუტატობის კანდიდატად შ. ე. ფურცხვანიძე. ამიტომ დაუჭირეს ერთსულოვნად მხარი მის კანდიდატურას ძველმა კადრის მუშამ გ. ცეცხლაძემ, პირველი უბნის უფროსმა შ. შოთაძემ, მეშახტე ე. ირსენიძემ, შახტის მთავარმა ინჟინერმა ბ. ციცხვიაძემ და მებიგე მ. სიროვამ.

კრებამ სთხოვა შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძეს ერთგნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამბროლაურის № 111 საარჩევნო ოლქში.

სტალინირის ხე-ფყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ლ. ხარებავამ.

სიტყვას იღებს კომბინატის ადგილკომის თავმჯდომარე ლ. გვაზავა.

— წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას გამობრძმედილი სტალინელი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამხ. გვაზავას სიტყვები მეუხარე ტაშმა დაჰფარა. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით მიესალმებოდა ქართველი ხალხის საამაყო შვილს, რომლის მზრუნველობით განმტკიცდნენ და აყვავდნენ საქართველოს სოფლები და ქალაქები.

ამხ. გვაზავამ დაწერილებით დაახასიათა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ლენინ-სტალინის რუსებლიკა-თა მეურნეობისა და კულტურის აყვავების საქმეში. მან ილაპარაკა სტალინური მუშაობის სტილის შესახებ, რომელიც დანერგა ჩვენში ამხანაგმა ბერიამ.

— როცა საქართველოს მტრის შემოსეკენის საშიშროება ემუქრებოდა, — ამბობს ამხ. გვაზავა, — ჩვენთან მოვიდა ამხანაგი ბერია და სათავეში ჩაუდგა კავკასიის დაცვას. ქართველი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს ამხანაგ ბერიას ღვაწლსა და ამაგს.

კრებაზე მეგზურად სიტყვები წარმოსთქვეს სტახანოველმა მუშამა ი. კვალინიძემ და ი. დათაშვილმა. მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხანაგ გვაზავას წინადადებას.

სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენოს ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და სთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 565 საარჩევნო ოლქში.

კიროვის სახელობის ქუთაისის სამკერავლო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

გრიგოლ ესეს-ძე ნარსია

ქუთაისი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). შუადღე კიროვის სახელობის სამკერავლო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი.

მეორე სამკერავლო საამქროს ბრიგადირმა ორდენოსანმა მ. მუმლაძემ წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გრიგოლ ესეს-ძე ნარსია.

— ამხ. ნარსიამ, — თქვა . თავის სიტყვაში ამხ. მუმლაძემ, — საქმით დაამტკიცა მშრომელი ხალხისადმი ერთგულება. იგი პირნათლად ასრულებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებებს.

წამოყენებულ წინადადებას მხარი დაუჭირეს ნ. ცირეკიძემ, ა. ჯიშკარიანმა და სხვებმა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში სამკერავლო ფაბრიკის კოლექტივმა სთხოვა გრიგოლ ესეს-ძე ნარსიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 110 საარჩევნო ოლქში.

სამგზავრეთის სავაგონო დეპოს კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

გიორგი თევდორეს-ძე სტურუა

სამტრედიის სავაგონო დეპოს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას, გახსნა სავაგონო დეპოს ადგილკომის თავმჯდომარემ ს. ფაშაკიძემ.

საპატაგო პრეზიდიუმში მეკავშირეებმა ფიფდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საკაკვირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო დიდი სტალინის, ბოლშევიკური ფიფდესი, ბაბაევი და სტურუა.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა სავაგონო მეურნეობის მესაკე განყოფილების უფროსს ა. გიორგაძეს.

— ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 10 თებერვალი, — ამბობს იგი, — ამ დღეს საბჭოთა ხალხი თავის უმაღლეს ორგანოში ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულ და თავდადებულ ადამიანებს აირჩევს.

კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეს ვასახელებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ გიორგი თევდორეს-ძე სტურუას. მან მოიგო თავისი სიცოცხლე მოაზმარა და ახმარს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას. მას, როგორც პროფესიონალურ რევოლუციონერს, ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე კარგად იცნობდნენ საქართველოს და ამერიკაკავასიის მშრომელები.

ამხ. სტურუას მნიშვნელოვანი დამსახურება მოეძღვის ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში, საბჭოთა საქართველოს აყვავების საქმეში.

წამოყენებულ წინადადებას კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გიორგი თევდორეს-ძე სტურუას დასახელების შესახებ მხარი დაუჭირეს საავაგონო დეპოს მრიგადირმა ამბროსი კოხრეიძემ, ინჟინერმა ა. ბალდავაძემ, სტახანოველმა მუშამ გ. ხაჩიშვილ და სხვებმა.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა: წამოყენებულ იქნას ამხანაგი გიორგი თევდორეს-ძე სტურუა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის № 561 საარჩევნო ოლქში.

საავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებამ აირჩია წარმომადგენლები წინასაარჩევნო რაიონულ კრებაზე დასასწრებლად.

ხაშურის რაიონის მშრომელებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს

ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი

კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად —

ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი

ქვაშხეთის სასოფლო კლუბში შესდგა კოლქეურნეობა „ახალი შრომის“ წევრთა კრება.

კრება გახსნა კოლქეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი გვარამაძემ.

სიტყვას იღებს სტახანოველი კოლქეურნე მარიამ სილაძე.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ამბობს ამხ. სილაძე, — ვასახელებ ვასილ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილს.

ამხ. სილაძის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოწინავე კოლქეურნეებ ვასილ გვარამაძემ, უმნის აგრონომმა იასონ გელაშვილმა, ზოოტექნიკოსმა ბიქტორ ასანიძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კოლეფურნე ნ. კიკნაძემ.

კოლქეურნეთა კრებამ ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილს გაუგზავნა წერილი და სთხოვა თანხმობა კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხაშურის № 113 საარჩევნო ოლქში.

ხაშურის საელმავლო დეპოს კლუბში შესდგა რკინიგზის ტრანსპორტის მეშაკთა კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

კრება გახსნა დეპოს ადგილკომის

ახმეტის ხე-ფყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი

ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის შესარჩევად.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა ქარხნის მოწინავე მუშაკს, უპატარეს ელადიერ ცაგარეიშვილს.

— ჩვენი მოვალეობაა, — ამბობს ამხ. ცაგარეიშვილი, — ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გავგზავნოთ შეშრარიტად მოწინავე ადამიანი, რომელმაც თავისი მუშაობით ცხოვყო ხალხის საქმისადმი ერთგულება. წინადადება შემომაქვს — ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი, რომელიც წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მთელი ენერგიით ემსახურება სოციალისტურ საამოლოს.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ამერიკაკავასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში, საბჭოთა საქართველოს აყვავების საქმეში.

წამოყენებულ წინადადებას კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გიორგი თევდორეს-ძე სტურუას დასახელების შესახებ მხარი დაუჭირეს საავაგონო დეპოს ბრიგადირმა ამბროსი კოხრეიძემ, ინჟინერმა ა. ბალდავაძემ, სტახანოველმა მუშამ გ. ხაჩიშვილ და სხვებმა.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა: წამოყენებულ იქნას ამხანაგი გიორგი თევდორეს-ძე სტურუა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედის № 561 საარჩევნო ოლქში.

საავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებამ აირჩია წარმომადგენლები წინასაარჩევნო რაიონულ კრებაზე დასასწრებლად.

ზუთის ნავსაღგურის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

მიხეილ ივანეს-ძე ბარამია

მუშაობის დამთავრების შემდეგ ფოთის ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს წინასაარჩევნო კრებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებელად სიტყვა ეძლევა ნავსადგურის უფროსს ე. რეკვავას.

— როგორც არჩევნების დეპუტატებიდან ვიცით, — ამბობს იგი, — მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას უფლება აქვს წამოაყენოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას.

ამხ. ბარამია ლენინ-სტალინის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის თავდადებული ადამიანი და გულისხმიერი ხელმძღვანელია. იგი პირნათლად ასრულებს ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობას.

ამხ. რეკვავას წინადადებას დამსწრენი ტაშით შეხვდნენ. კრებაზე სიტყვით გამოსულთან ამხანაგებმა ვ. ბოლვაძემ, ი. ბერიოლიამ და ი. ინანიტიერემ ერთხმულად დაუჭირეს მხარი წამოყენებულ წინადადებას.

ნავსადგურის მუშაკებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სთხოვონ მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ფოთის № 560 საარჩევნო ოლქში.

ჭიათურის ხე-ფყის სახელობის მაღაროს კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

რაფიელ ილიას-ძე აბლაძე

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

კალენიკე გრიგოლის-ძე ღავთაძე

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). 3 იანვარს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივის კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებისადმი. კრებას 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

მაღაროელებმა ხანგძლივი მეტეხარე ტაშით სამატაო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო დიდი სტალინის მეთაურობით, აფრეთვე ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა.

სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. სხალიანმ.

შემდეგ გამოვიდა მაღაროს მთავარი ინჟინერი ვ. წიწილაშვილი.

— ამხანაგებო, — სთქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ სტალინური პრემის ლაურეატს ლენინის ორდენოსან პროფესორს რაფიელ ილიას-ძე აბლაძეს.

ამხ. აბლაძეს ყველა ჩვენგანი იცნობს, როგორც ტექნიკური აზრის ერთ-ერთ ნოვატორს, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს. მას იცნობს მთელი მსოფლიო როგორც ახალი ლითონის — ელექტროლიტური მანგანუმის გამომგონებელს.

ამხ. წიწილაშვილის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მ. ქობულაშვილ და ბ. მხეიძემ.

კრებამ დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას რაფიელ ილიას-ძე აბლაძე და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 563 საარჩევნო ოლქში.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებისადმი მიძღვნილი კრება. საქმიანი და სამატაო პრეზიდიუმს არჩევის შემდეგ კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. სხალიანმ.

სიტყვა აიღო მოწინავე უბნის გამგემ დიმიტრი ფალავანდიშვილმა.

— წინადადება შემომაქვს, — სთქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ცნობილი მაღაროელი, ლენინის ორდენოსანი კალენიკე გრიგოლის-ძე ღავთაძე.

ამხ. ღავთაძეს კარგად იცნობენ ჭიათურის მაღაროელები, მას იცნობს მთელი რეპუბლიკა, როგორც მოწინავე საბჭოთა პატრიოტს. გახსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თავდადებული შრომა დიდი სამამულო ომის დღეებში.

ამხ. ფალავანდიშვილს წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხანაგებმა ძიძიაშვილმა და კაპანაძემ.

კრებამ დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას კალენიკე გრიგოლის-ძე ღავთაძე და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 112 საარჩევნო ოლქში.

ჯ. ჭიოკაძე

ქვემო გომის მშრომელებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს

სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი

კასპი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). 3 იანვარს სოფელ ქვემო გომში შესდგა კოლმეურნეობა „ზნეობის“ წევრთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი. კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. მანჯგალაძემ. საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანმა ვ. ქველაძემ კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხზე წარმოსთქვა სიტყვა.

შემდეგ წინადადებისათვის სიტყვა ითხოვა კოლმეურნეობის მეხილეობის ბრიგადირმა თ. როსეფაშვილმა.

— წინადადება შემომაქვს, — სთქვა მან, — ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ ჩვენი კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანი, მეორე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელი, სტახანოველი მეაბრეშემე სოფიო ანდრიასასული მარიდაშვილი. რგოლი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად შრომის ნაყოფიერების ძაღალ მაჩვენებლებს აღწევს. 1945 წელს ამ რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ 300 ცენტნერი ჭარხალი და 15 ცენტნერი სიმინდი აიღო. თვით მერგოლეტმა თავისი სტახანოვური ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე 487 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 20 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, პატიოტმა ქალმა გასულ წელს საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული შრომით 380 შრომადღე გამოიმუშავა.

წამოყენებულ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ბერიოშვილმა, დემონსტრაციულმა ვ. კენჭეშვილმა, ბრიგადირმა ე. ციციაშვილმა, ძაღლეველმა ი. თუხარელმა, რ. ხითარიძემ, მ. ჭეკლიანიძემ, ნ. მარიდაშვილმა, ე. ვერანიანოზაშვილმა, გ. ხატარიშვილმა და სხვებმა.

კრებამ მიიღო ერთსულოვანი დადგენილება: ამხ. სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 116 საარჩევნო ოლქში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი კრება. მარჯვნივ: სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ აკადემიის ნამდვილი წევრი, უნივერსიტეტის რექტორი ამხ. ნ. კეცხოველი.

ფოტო ვ. გიორგაძისა.

სასამართლო პროცესი ლენინგრადის ოლქში გერმანელ ფაშისტთა მხეცობის საქმის გამო

ლენინგრადი, 30 დეკემბერი. (საკდესი). საღამოს სხდომა დაიწყო მოწმეთა დაკითხვით. მათი ჩვენება გვიხატავს იმის სურათს, თუ რა მხეცურ თვითნებობას ეწეოდნენ, მასობრივ მკვლელობას, ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას სჩადიოდნენ ჰიტლერელები მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ ლენინგრადის ოლქის ტერიტორიაზე.

მოწმე **ვ. ფ. ფედოროვი** — ნოვოსელიეს რაიონის სოფელ როსტკოვოს 58 წლის კოლმეურნე, სასამართლოს მოუთხრობს, თუ როგორ გაუსწორდნენ გერმანელები სოფლის მცხოვრებთ. 1943 წლის 23 დეკემბერს დილით, როცა შრომისუნარიანი გლეხები სამუშაოზე იყვნენ გარეკილნი, გერმანელმა დამსჯელებმა როსტკოვოს ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე ადგილას. ქალები, მოხუცები და ბავშვები მათ დიდ ფარდულში შერეკეს და ცოცხლად დასწვეს. ასე დაიღუპა 64 კაცი, მათ შორის 33 ბავშვი. მოწმეს იმ დილით დაეღუპა მთელი ოჯახი: ცოლი, რძალი და ოთხი წლის შვილიშვილი.

კარამიშევოს რაიონის სოფელ ზამოშჩიეში გერმანელების მიერ ჩადენილი მხეცობის შესახებ ჩვენებას იძლევა მოწმე ნ. პ. ფილიპოვა. აქ გერმანელებმა 1944 წლის თებერვალში უმაგალითო სისასტიკით ააწიოკეს ისინი, ვინც უარი სთქვა გერმანიაში წასვლაზე. ჰიტლერელებმა სახლებიდან და მიწურებიდან გამორეკეს ქალები, ბავშვები, მოხუცები და ავტომატის სროლა აუტეხეს მათ. წამებით დახოცეს 24 კაცი. სოფლის მცხოვრებს მოდესტ [illegible]

[illegible]

ლევიან მოწმეები ნ. პ. ცვეტკოვა და ვ. ლ. ეგოროვა.

მოწმე **ი. ქ. კუზმინმა,** პორხოვის რაიონის სოფელ მაჩკოვოდან, სადაც გერმანელებმა ყველა სახლი გადასწვეს, ხოლო ჰრავალი მცხოვრები დახვრიტეს, იცნო ამ აწიოკების მონაწილენი — ბრალდებულნი გერერი და სკოტკი. ისინი იცნო აგრეთვე ამ სოფლის მცხოვრებმა მოწმე **ვ. ე. ეგოროვმა.**

სოფლებისთვის ცეცხლის წაკიდების, სამხედრო ტყვეების ბანაკებში საბჭოთა ადამიანების სასტიკი, არაადამიანური წამებისა და მშვიდობიან მოქალაქეთა დახვრეტის ფაქტები მოჰყავთ თავიანთ ჩვენებაში მოწმეებს **ა. პ. სტოგაევას** და **ა. ი. ლუკონინას.**

დაბა სტრუგი კრასნიეს მეთოდურად გადაწვისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გეგმაზომიერად გაჟლეტის შესახებ სასამართლოს ჩვენებას აძლევს 58 წლის მოწმე **პ. ე. ახტაფიევი.**

მოწმე **ტ. მ. ლავრენტიევამ,** სლავკოვიჩის რაიონის სოფელ მალიე პეტის კოლმეურნემ, თავისი თვალით ნახა, თუ როგორ დახვრიტეს სოფელში 50 მამაკაცი და მოზარდი. მოწმე **ე. ა. მალიშევამ,** პლიუსის რაიონის სოფელ ზაპოლიეს კოლმეურნემ, მოიყვანა გერმანელების მიერ ამ სოფლის ქალებისა და ბავშვების დიდი ჯგუფის დახვრეტის დაწვრილებითი ცნობები.

მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი ხვრეტისა და დასახლებული პუნქტების გადაწვის [illegible]

[illegible]

31 დეკემბრის დილის სხდომა

[illegible]

2 იანვრის სხდომა

[illegible]

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

2 იანვრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 2 იანვარი. (საკდესი). დღეს თორმეტი დღის შეწყვეტის შემდეგ აქ განახლდა მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი. დილის 10 საათზე საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა სიტყვა მისცა ბრალდების ამერიკელ წარმომადგენელს პოლკოვნიკ სტორის.

ბრალმდებელმა სასამართლოს გაახსენა, რომ ტრიბუნალის უკანასკნელ სხდომაზე წარმოდგენილი იყო დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან „დუშეგუბკის" გამოყენებას გერმანელების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, აგრეთვე ამ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის მოსასპობად იმ სპეციალური ჯგუფების მოქმედებას, რომლებიც მუშაობდნენ გესტაპოს ხელმძღვანელობით და დავალებით. პოლკოვნიკი სტორი განაგრძობს აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიებზე გესტაპოს დანაშაულებრივი მოქმედების დახასიათებას და ამონაწერები მოჰყავს უკრაინაში არსებული სამშენებლო ფირმა „იუნგის" ყოფილი წარმომადგენლის გერმანელ გერმან გრებეს ჩვენებიდან ქალაქ როვენოში ებრაელთა მოსპობის შესახებ.

ტრაგედია ქალაქ როვენოში, — როგორც გერმან გრებემ აჩვენა, — მოხდა 1942 წლის 12 ივლისს ღამით. საღამოს, — ნათქვამია გრებეს ჩვენებაში, — სს-ელებისა და პოლიციის რაზმები გარს შემოერტყნენ გეტოს, სადაც 5 ათასი ებრაელი იყო. წინასწარ გარშემოდადგმულმა პროჟექტორებმა გეტო თვალისმომჭ[illegible]

შემდეგ ბრალმდებელი ამტკიცებს გესტაპოსა და უშიშროების პოლიციის პასუხისმგებლობას მოკავშირეთა ჯარების პარაშუტისტების მოსპობისათვის. მან სასამართლოს წარუდგინა ჰიტლერის მიერ ხელმოწერილი და ყველა სარდლისათვის გაგზავნილი ბრძანების დედანი, რომლის ასლი გაეგზავნა ჰიმლერს და უშიშროების პოლიციის უფროსს. ბრალმდებელი აქვეყნებს ამ ბრძანების ერთ-ერთ თავს, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველა პარაშუტისტი, იქნებიან ისინი ფორმაჩაცმულნი თუ უფორმოდ, შეიარაღებულნი თუ უიარაღო, დახოცილ უნდა იქნას.

პოლკოვნიკი სტორი ბრალდების ხელში არსებული დოკუმენტების საფუძველზე ბრალდების სპეციალურ ნაწილს მიუძღვნის იმას, რომ ააშკარავებს გესტაპოელთა საქმიანობას გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან ფაშისტებისათვის არასასურველი პირების წაყვანასა და მათთვის ანგარიშის გასწორებაში. პოლკოვნიკ სტორის მოჰყავს ამონაწერები გერმანელ ხელისუფალთა რამდენიმე დოკუმენტიდან იმის შესახებ, რომ ის პირები, რომლებმაც დანაშაულობა ჩაიდინეს იმპერიის ან საოკუპაციო ძალთა წინააღმდეგ, ფარულად უნდა წაიყვანონ გერმანიაში და გადასცენ უშიშროების პოლიციას. ამ დოკუმენტებში მოყვანილია ჰიტლერის აზრი იმის შესახებ, რომ პატიმრობა ასეთი პირებისათვის სისუსტის გამოჩენას წარმოადგენს. ამ ინსტრუქციების მიხედვით ის პირები, რომლებმაც დანაშაულობა ჩაიდინეს ოკუპირებულ ტერიტორი[illegible]

[illegible]

[illegible] ლებლად და რომ ამ ღონისძიების შედეგად ევაკუირებული პოლონელები საკონცენტრაციო ბანაკებში გაიგზავნებიან. პოლკოვნიკ სტორის მიერ მოყვანილი მეორე დოკუმენტი მოწმობს, რომ გესტაპო მუშახელს სამუშაოდ მიერეკებოდა გერმანიის მრეწველობაში და რომ გესტაპოს აკისრია პირდაპირი პასუხისმგებლობა იმ მკაცრი რეჟიმისათვის, რაც დაწესებული იყო გერმანიის მონობაში გარეკილი აღმოსავლეთ ოლქების მუშებისათვის.

10 წუთის შესვენების შემდეგ ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი სასამართლოს უჩვენებს დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰიმლერის ბრძანებით ყველა გაქცეული მუშა დაჭერის შემდეგ დაუყოვნებლივ და უკლებლივ უნდა გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკებში.

[illegible] ები იჭერდნენ ოკუპირებული ქვეყნების მოქალაქეებს და გერმანიაში ჰგზავნიდნენ მათ ანგარიშის გასასწორებლად.

იმასთან დაკავშირებით, რომ პოლკოვნიკმა სტორიმ განაცხადა, საღამოს სხდომაზე ბრალდებას განზრახული აქვს მოიყვანოს კალტენბრუნერის დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთებით, ამ უკანასკნელის დამცველმა ადვოკატმა კაუფმანმა განაცხადა, რომ კალტენბრუნერი ამჟამად ავად არის და ვერ შესძლებს დაესწროს სასამართლოს და ამიტომ მიმართა სასამართლოს თხოვნით, რათა ბრალდება კალტენბრუნერის მიმართ წამოყენებულ იქნას მისი გამომრთელების შემდეგ. ლორდმა ლოურენსმა უპასუხა, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იქნება შესვენების შემდეგ.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჰააგა, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ანპის სააგენტო ბატავიიდან იუწყება, ინდონეზიელები კვლავ დიდ აქტივობას იჩენენ, ხელს უშლიან ინგლისელთა ჯარების გადასვლას ქალაქ ბეიტენზორგის დასავლეთით. ინდონეზიელებმა სროლა აუტეხეს ხიდს, რომელსაც ინგლისელები იცავენ და რომელზეც გადის ბატავიის წყალსადენი.

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ ინდონეზიელები წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელთა ჯარებს ბეიტენზორგის რაიონში ბატავიის სამხრეთით. სერიოზული შეტაკებანი მოხდა აგრეთვე სემარანგის ზონაში, სადაც ინდონეზიელებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს ამ რაიონში გადასხმულ სადესანტო ჯარებს.

სტახანოველთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

2 იანვარი

ხარატები

○ **თბილისის ავტოსარემონტო** ქარხანაში დღიური საწარმოო დავალებები შეასრულეს გ. წიკლაურმა — 300 პროცენტით, პ. ნოვოსელცევმა — 300 პროცენტით, თ. ნიკოლიდიმ — 275 პროცენტით და ი. უგაროვმა — 237 პროცენტით.

მჭედლები

○ **26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ვ. კორძაძემ გეგმა შეასრულა 1.230 პროცენტით.

ზეინკლები

○ **თბილისის ავტოსარემონტო** ქარხნის ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც ე. ჩერნოვა ხელმძღვანელობს, გეგმა 319 პროცენტით შეასრულა.

მექვაბეები

○ **სტალინის სახელობის** თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველის მ. გეწაძის ბრიგადამ დღიური დავალება 1.500 პროცენტით შეასრულა.

3 იანვარი

მჭედლები

○ **26 კომისრის სახელობის** ქარხანაში ვ. კორძაძემ გეგმა შეასრულა 1.001 პროცენტით, ა. არეშოვმა — 521 პროცენტით.

ხარატები

○ **კიროვის სახელობის** ქარხანაში გ. ბორდაკოვმა გეგმა შეასრულა 700 პროცენტით, ი. უკოლოვმა — 312 პროცენტით, ვორონკოვმა — 415 პროცენტით.

○ **26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელ ქარხანაში ტ. არამიანმა გეგმა შეასრულა 1.050 პროცენტით.

მეყალიბეები

○ **26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელ ქარხანაში ი. მირზოევმა გეგმა შეასრულა 1.350 პროცენტით და გ. მელაძემ — 990 პროცენტით.

4 იანვარი

მჭედლები

○ **26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელ ქარხანაში ვ. კორძაძემ დღიური საწარმოო დავალება შეასრულა 1.050 პროცენტით.

○ **თბილისის ავტოსარემონტო** ქარხნის სტახანოველმა მჭედელმა დ. ჩიმჩიურმა დღიური გეგმა 600 პროცენტით შეასრულა.

ხარატები

○ **კიროვის სახელობის** დაზგათმშენებელ ქარხანაში ვ. ემელიანოვმა გეგმა შეასრულა 375 პროცენტით, კანიგინმა — 475 პროცენტით, ნ. ვორონკოვმა — 300 პროცენტით და ნევზოროვმა — 357 პროცენტით.

○ **თბილისის ავტოსარემონტო** ქარხანაში გ. წიკლაურმა გეგმა შეასრულა 425 პროცენტით.

მექვაბეები

○ **სტალინის სახელობის** თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მ. გეწაძემ გეგმა შეასრულა 342 პროცენტით, ი. ბაბაევმა — 250 პროცენტით, აბუაშვილმა — 240 პროცენტით და ბორისოვმა — 217 პროცენტით.

ზეინკლები

○ **თბილისის ავტოსარემონტო** ქარხნის ზეინკლებმა დღიური საწარმოო გეგმა შეასრულეს: ს. ხარქისოვმა — 700 პროცენტით, თ. ნოვოსელცევმა — 518 პროცენტით, ი. უგაროვმა — 350 პროცენტით და კრატიუკმა — 639 პროცენტით.

120.000 კილომეტრი ლუნინური ორთქლმავლით

ბათუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ბათუმის საორთქლმავლო დეპოს ლუნინელმა მემანქანეებმა ნ. დარჩიამ და გ. მსხილაძემ, რომლებიც შემცვლელებად მუშაობენ ერთ ორთქლმავალზე, თავისი ორთქლმავლით ურემონტოდ გაიარეს 100.000 კილომეტრი. ამ ხნის განმავლობაში მათ დაზოგეს 38 ტონა საწვავი და გასწიეს 13.000 მანეთის ეკონომია.

გზათა სახალხო კომისარმა ამხ. კოვალიოვმა მემანქანეებს ამხ. ნ. დარჩიას და გ. მსხილაძეს გამოუცხადა მადლობა და დააჯილდოვა „საპატიო რკინიგზელის" ნიშნით. მემანქანეთა თანაშემწეები ჩხარტიშვილი და ჩიჩუა დაჯილდოებული არიან „სტალინური გაწევის დამკვრელის" ნიშნით.

ასეთი მაღალი შეფასების საპასუხოდ ნ. დარჩიამ, გ. მსხილაძემ და მათმა თანაშემწეებმა იკისრეს 10 თებერვლამდე ამავე ორთქლმავლით კვლავ რემონტგაუკეთებლად გაირბინონ კიდევ 20.000 კილომეტრი.

კ. რუსიძე

პრემიერა მესხიშვილის სახელობის თეატრში

ქუთაისი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად აჩვენა მ. ჯაფარიძის პიესა „ქამთაპერის ასული".

სპექტაკლი დადგეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ და რეჟისორმა ს. ოქრუაშვილმა. მუსიკა დასწერა ი. მაჭავარიანმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. ფოცხიშვილს, სიმღერები მოამზადა ბ. ლოლობერიძემ.

როლები შეასრულეს: რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ა. მერკვილაძემ და ვ. ჩხიკვაძემ, მსახიობებმა ტ. თვალთვაძემ, მ. სვანიძემ, ვ. გვენცაძემ, კ. აბესაძემ, ბ. კოკელაძემ, გ. ჯაბუტაშვილმა და გ. კოკელაძემ.

გ. მეფისაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 6 იანვარს, დილის 10 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მეთორმეტე ტურში გიორგაძემ მოუგო პეტროსიანს, ცინცაძემ სუსტად ითამაშა არუთინოვთან და დამარცხდა. კაკაბაძემ წააგო აგამალიანთან, ფხალაძემ — ფალავანდიშვილთან. სერედამ გადასდო თავისი პარტია გასიევთან წამაგებ მდგომარეობაში. სოროკინმა მოუგო ქექ-ტრიპოლიტოვს. მაღაშხია-ტარსაძის პარტია ყაიმით დასრულდა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სერედამ წააგო გასიევთან და პეტროსიანთან და ყაიმი გააკეთა არუთინოვთან. ცინცაძემ მოუგო ფალავანდიშვილს. ფხალაძემ წააგო ნეკრასოვთან.

სემინარი

5 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა მორიგი სემინარი თემაზე: **„სააგიტაციო მუშაობის ფორმები და მეთოდები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში".**

სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. **მირიანაშვილი** (ქართულ ენაზე) და ამხ. **ნოლიანისი** (რუსულ ენაზე).

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი
აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ცხოველთა ფიზიოლოგია და მეცხოველეობა.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. უმაღლესი სკოლის დამთავრების მოწმობა, 2. ავტობიოგრაფია, 3. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 4. ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, 5. სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების ცნობა, 6. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 7. სამი ფოტოგრაფიული სურათი, 8. სამეცნიერო შრომათა სია ან მეცნიერული რეფერატი არჩეულ სპეციალობაში.

ასპირანტურაში მიიღებიან მოქალაქენი არა უმეტეს 40 წლის ასაკისა, რომელთაც უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ აქვთ სულ მცირე 2 წლის საწარმოო სტაჟი.

მისაღები საკონკურსო გამოცდები იწარმოებს სპეციალურ დისციპლინაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებსა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება 1946 წლის 10 იანვრამდე. ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, მარის ქუჩა № 15.

დირექცია

მოქალაქე **გიორგი სიმონის-ძე ბექიტაშვილმა,** მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 29, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლუბა იოსების-ასულ ბექიტაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **ლუბა იაკობის-ასულმა ოსიპაშვილმა,** მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 68, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ავთანდილ ალექსანდრეს-ძე ქლენტთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის დირექცია იუწყება აკაკი ვლადიმერის-ძე ბურჯულაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 6/I, 2 ს. პეროვსკაიას, 25.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან აკადემიკოს დ. ნ. უზნაძის ძმის **ივანე ნიკოლოზის-ძე უზნაძის გარდაცვალებას.** პანაშვიდი 5/I, 7 ს. გამოსვენება 6/I, 1 ს. პონქაძის, 6.

[illegible] კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00104